საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის წლიური ანგარიში შედგენილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ წარდგენილი წლიური ანგარიშის საფუძველზე.

წლიური ანგარიში მოიცავს

საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა ---------- 2

სახელმწიფო შესყიდვების მიმართულება ---------- 13

სამეცნიერო მიმართულებით დაფინანსება ---------- 14

ინფრასტრუქტურული პროექტები ---------- 15

სასწავლო პროცესების მართვის მიმართულებით საქმიანობა: ---------- 18

ადამიანური რესურსების მართვა, უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და რებრენდინგი: ---------- 21

სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართულება ---------- 21

საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა

2021 წლის ბიუჯეტის საბიუჯეტო პროცესი დაიწყო 2020 წლის ივლისის თვეში. ფაკულტეტებიდან და უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან მიღებული იქნა მათი საბჭოების მიერ განხილული ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც შეთანხმებული და დამტკიცებულ იქნა აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებზე. ასევე, წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები უნივერსიტეტის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში, რომელიც შესაბამისობაშია შრომის ანაზღაურების ფონდთან.

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტი დამტკიცდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2020 წლის 25 დეკემბრის N01-06-02/50 დადგენილებით, რომელიც მხოლოდ საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსულობებსა და გადასახდელებს მოიცავდა და შეადგინა 57 137 460 ლარი. 2021 წლის განმავლობაში ბიუჯეტი გაიზარდა 6 065 510 ლარით და დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობამ წლის ბოლოს შეადგინა 63 202 970 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით გამოცემულ იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს 6 დადგენილება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 7 განკარგულება, სადაც ასახულ იქნა, როგორც საბიუჯეტო მაჩვენებლების, ასევე ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებები. განკარგულებით ასახული საბიუჯეტო ზრდის მაჩვენებლებმა წლის განმავლობაში შეადგინა 9 368 141 ლარი, შემცირებამ - 2 132 067 ლარი, ხოლო ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებამ - 9 661 ლარი, რაც სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის სენატის მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულ მუხლობრივ ცვლილებათა დადგენილ ქვოტას. განკარგულებით ასახულ საბიუჯეტო ზრდის მაჩვენებლებში უმეტესწილად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები თანხებია(სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; სახელმწიფო სტიპენდიები).

უნივერსიტეტის 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები ფორმირებულია საკუთარი სახსრებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებით და საერთაშორისო(მიზნობრივი) გრანტებით:

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	სხვაობა
სულ შემოსულობები	**57 137 460**	**63 202 970**	**6 065 510**
-საკუთარი სახსრები	**57 137 460**	55 771 731	-1 365 729
-სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	**0**	6 180 558	6 180 558
-საერთაშორისო გრანტები	**0**	1 250 681	1 250 681

შემოსულობების დაზუსტებულ და გეგმიურ მაჩვენებლებს შორის სხვაობის ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ პროგრამული დაფინანსების თანხებზე, რომელიც წლის დასაწყისში არ იყო დამტკიცებული.

გასული წლის შემოსულობების შესრულების ფაქტიური მაჩვენებლების შედარება 2021 წლის მონაცემებთან გვაძლევს ასეთ სურათს:

დასახელება	2020 წ ფაქტი.	2021 წ. ფაქტი	სხვაობა
სულ შემოსულობები	55 357 529	61 830 032	6 472 503
-საკუთარი სახსრები	48 603 414	54 896 731	6 293 317
-სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	6 091 141	6 147 498	56 357
-საერთაშორისო გრანტები	662 974	785 803	122 829



2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებლები 2020 წლის შესაბამის მაჩვენებლებზე 6 472 503 ლარით მეტია, რაც უმეტესად საკუთარი სახსრებიდან მიღებული შემოსულობების მეტობით არის განპირობებული.

2021 წლის შემოსულობების გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებლების შესრულებისა და მთლიანი შემოსულობების მიმართ ცალკეული დაფინანსების წყაროების მიხედვით ხვედრითი წილის მოცულობა გვაძლევს ასეთ სურათს:

დასახელება	2021 წ. გეგმა	2021 წ. ფაქტი	შესრულების %	ხვედრითი წილი ფაქტიურად მიღებული შემოსულობების მიმართ
სულ შემოსულობები	63 202 970	61 830 032	97,8	100,0
-საკუთარი სახსრები	55 771 731	54 896 731	98,4	88,79
-სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	6 180 558	6 147 498	99,5	9,94
-საერთაშორისო გრანტები	1 250 681	785 803	62,8	1,27

შემოსულობების შესრულების მთლიან მოცულობაში დაახლოებით 89% საკუთარი სახსრებიდან მიღებულ შემოსულობებს უკავია და შეადგენს 54 896 731 ლარს, კერძოდ:

N	დასახელება	ფაქტი	ხვედრითი წილი
1	სწავლის საფასური სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების გათვალისწინებით	45 025 144	82,02
2	გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	3 309 911	6,03
3	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა	3 678 362	6,70
4	სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს (32 04 02 06) ქვეპროგრამა„დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვისა სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს“	2 100	0,004
5	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან	330 182	0,60
6	მეიჯარეების მიერ გადახდილი კომუნალური გადასახადები	289 084	0,53
7	შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და თვითდაფინანსების ცენტრებიდან	1 973 625	3,60
8	მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	284 276	0,52
9	სხვა დანარჩენი(უკან დაბრუნებული სახსრები)	4 047	0,007

	სულ შემოსულობები	**54 896 731**	100,00

1. საკუთარი სახსრებიდან მიღებულ შემოსულობებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სწავლის საფასურზე მოდის და შეადგენს 82 %-ს. მიუხედავად ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა სხვადასხვა სახის შემოსულობებზე, ეს არ ითქმის სწავლის საფასურიდან მისაღებ შემოსავალზე და ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 45 025 144 ლარი, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს 2 523 786 ლარით აღემატება:

დასახელება	2020 წ. ფაქტი	2021წ. ფაქტი	სხვაობა
სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური	21 829 632	23 268 102	1 438 470
სწავლის საფასური პროგრამული, სასწავლო გრანტის, ვაუჩერული დაფინანსების გათვალისწინებით	20 671 726	21 757 042	1 085 316
სულ	42 501 358	45 025 144	2 523 786

2. გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან მოიცავს სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებს(4 647 926ლარი), „მეცნიერების პოპულარიზაციისა“(37 600 ლარი) და „პროფესიული განათლების განვითარების ხელეწყობის“ პროგრამით(114 000ლარი) გათვალისწინებულ დაფინანსებას. გრანტებიდან მისაღები შემოსულობების გეგმიური მაჩვენებელი, საკასო ნაშთის ჩათვლით განისაზღვრა 4 799 526 ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 3 309 911 ლარი.

3. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით განსაზღვრული დაფინანსების გეგმიური მაჩვენებელი შეადგენს 4 022 766 ლარს(ნაშთის გათვალისწინებით), საიდანაც დიდი ჯიხაიშის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული გეგმიური მაჩვენებელი შეადგენს 3 495 181 ლარს, ხოლო კვლევითი ინსტიტუტების რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხა-527 585 ლარს. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 3 678 361 ლარი.

4.„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის „დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების გეგმიური და ფაქტიური შემოსავალი იდენტურია და შეადგენს 2 100 ლარს.

5. შენობებისა და ნაგებობების იჯარაში, ან მართვაში გადაცემიდან მისაღები შემოსავლის გეგმა განისაზღვრა 700 000 ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 330 182 ლარი, რაც

აიხსნებ, როგორც ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობით, რის შედეგადაც შეჩერდა, ან გადავადდა ზოგიერთი საიჯარო ხელშეკრულებები, ასევე ზოგიერთი მეიჯარის უპასუხისმგებლობით. აღნიშნული მაჩვენებელი გასული წლის მაჩვენებელზე 123 940 ლარით ნაკლებია.

6. მეიჯარეების მიერ გადახდილი კომუნალური გადასახადების სახით მიღებული შემოსულობები შეადგენს 289 084 ლარს, ნაცვლად გათვალისწინებული 100 00 ლარისა.

7. შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და თვითდაფინანსების ცენტრებიდან მოიცავს სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპზე მომუშავე ცენტრებიდან და სახელშეკრულებო მომსახურებიდან მისაღებ შემოსავალს და ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 973 625 ლარი, ნაცვლად გათვალისწინებული 2 146 553 ლარისა(ნაშთის ჩათვლით), რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს 165 434 ლარით აღემატება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელზე 1 163 948 ლარით ნაკლებია.

8. მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა მოიცავს 2015 წლის 17 ივლისს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამავე უნივერსიტეტის კვლევით ფონდსა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტში მონაწილე სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, „საქართველოს ბანკიდან“ საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის სახელფასო მომსახურებით ექსკლუზიურად სარგებლობის სანაცვლოდ გადასახდელ თანხას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტური ღონისძიებებისა და სამეცნიერო კვლევების ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე, აიპ საქართველოში ფრანგული ენის სწავლებისა და ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ხელშეწყობისა და განვითრების ფონდ „მოლიერსა“ და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2021 წლის 01 ივნისს ხელშეკრულებით განსაზღვრულ დაფინანსებას და ფრენბურთის ფედერაციის მიერ ჩარიცხულ თანხებს, ვაჟთა გუნდის მიერ საპრიზო ადგილის მოპოვებისთვის. სულ მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერებიდან მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 284 276 ლარი, ნაცლად გათვალისწინებული 353 580 ლარისა.

ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა შესაბამისად 63 202 ლარია, საკასო შესრულება- საკუთარი სახსრებიდან გაწეულმა გადასახდელებმა, ნაცვლად გათვალისწინებული 55 771 731 ლარისა, შეადგინა 50 914 635 ლარი, რაც გეგმის შესრულების 91 3%-ია. გადასახდელები გაწერილია სხვადასხვა ღონისძიებების მიხედვით, რომლის შესრულების მაჩვენებლები გვაძლევს ასეთ სურათს:

N	ღონისძიებების დასახელება	გეგმა	ფაქტი	შესრულების %
1	სასწავლო(საფაკულტეტო),ადმინისტრირების, სამეცნიერო -კვლევითი ღონისძიების ფარგლებში სწავლის საფასურიდან და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსულობებით გაწეული ხარჯები	46 762 078	46 403 507	99,2
2	სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	4 647 926	1 687 938	36,3
3	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა	4 022 766	2 658 979	66,1
4	ს.ს„საქართველოს ბანკის“ მიერ სტუდენტური ღონისძიებებისა და სამეცნიერო კვლევების ფინანსური მხარდაჭერა	110 511	10 511	9,5
5	პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა „ამფეთქებელი“;	114 000	114 000	100,0
6	პროგრამა „მეცნიერების პოპულარიზაცია“	37 600	37 600	100,0
7	სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს (ქვეპროგრამა „კოსტა ხეთაგუროვისა და დიმიტრი გულიას სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს“;	2 100	2100	100,0
8	„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა“-ქვეპროგრამა „ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა“	24 750	0	0,0
9	საბაკალავრო პროგრამა „კვების ტექნოლოგიების“ მხარდაჭერა(ფონდი „მოლიერი“)	50 000	0	0,0
	სულ	**55 771 731**	**50 914 635**	**91,3**

საკუთარი სახსრებით გაწეულ გადასახდელებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სასწავლო(საფაკულტეტო), ადმინისტრირების, სამეცნიერო - კვლევითი ღონისძიების ფარგლებში სწავლის საფასურიდან და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსულობებით გაწეულ გადასახდელებზე მოდის და საკასო შესრულებამ 46 403 507 ლარი შეადგინა, რაც გეგმის შესრულების 99,2 %-ია.

2 სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები მოიცავს ფუნდამენტურ, გამოყენებით, ახლგაზრდა მეცნიერთა და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა გრანტებს, რომლის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, უნივერსიტეტში კვლევების კომერციალიზაციის ხარისხის ამაღლება,

სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობა, მათი მატერიალური მხარდაჭერა და წახალისება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. გადასახდელების საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 647 926 ლარით, ხოლო ფაქტიური შესრულება შეადგენს 1 687 938 ლარს, რაც გეგმის შესრულების 36 3%-ია. მიზეზი აიხსნება იმით, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის გამოყოფილ თანხებზე ორწლიანი ხელშეკრულებები გაფორმდა და 2021 წელს ჩამორიცხული თანხიდან(1 068 605ლ) ათვისებულ იქნა მხოლოდ 33 055 ლარი, ხოლო დანარჩენი ნაშთის სახით აისახა 2022 წლის ბიუჯეტში, რომლის სრული ათვისება მოხდება 2022 წლის სექტემბრის თვემდე. რაც შეეხება „ღია მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამით გათვალისწინებულ თანხებს(427 500ლ),მისი ჩარიცხვა მოხდა წლის ბოლოს, რომლის ათვისება მოხდება ასევე 2022 წლის დეკემბრამდე.

3. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით განსაზღვრული გადასახდელების გეგმიური მაჩვენებელი შეადგენს 4 022 766 ლარს(ნაშთის გათვალისწინებით), ხოლო ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 2 658 979 ლარი, ანუ გეგმის შესრულებამ შეადგინა 66,1%-ი. მიზეზი აიხსნება იმით, რომ ინსტიტუტების რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული დაფინანსება ჩაირიცხა დეკემბრის ბოლოს, ხოლო დიდი ჯიხაიშის კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოების გადავადება მოხდა 2022 წლის აპრილის თვემდე, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო. 2021 წელს დიდი ჯიხაიშის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 2 643 087 ლარი, ხოლო 15 892 ლარი მიმართული იქნა უნივერსიტეტის ცენტრის „ანალიზხელსაწყოს“ გაზიფიკაციის სამუშაოებზე.

1.4 ს.ს „საქართველოს ბანკიდან“ საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის სახელფასო მომსახურებით ექსკლუზიურად სარგებლობის სანაცვლოდ გადასახდელი თანხიდან, საკასო ნაშთის ჩათვლით შემოსულობები და გადასახდელები განისაზღვრა 110 511 ლარით, შესრულებამ შეადგინა 10 511 ლარი.

1.5 „პროფესიული განათლების განვითარების ხელეწყობის პროგრამის“(პროგრამული კოდი 32 03 01 01) „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსების ქვეპროგრამის“ პროექტი „ამფეთქებელი’-ს დაფინანსების გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებელი შეადგენს 114 000 ლარს, რომელიც გაწერილია პროექტის ხელშეკრულებით გათვალისინებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად და მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა, ინსტრუქტორისა და კოორდინატორის შრომის ანაზღაურებას.

1.6 მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამა მოიცავს ევროპელ მკვლევართა ღამის პროექტს „მეცნიერება კაპიტანია“ და ქართველ მეცნიერთა შესახებ ვიდეო რგოლების მომზადების

მხარდაჭერის პროექტს, რომლის გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებელი შეადგენს 37 600 ლარს და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად გაცემულია შრომის ანაზღაურების სახით.

1.7 „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის „დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სტუდენტ გიორგი ციკოლიას გამოეყო დაფინანსება 2 100 ლარი, რომლის შესრულების მაჩვენებელი 100%-ია.

1.8 „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა" პროგრამით გათვალისწინებული „ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სუბსიდიის სახით გამოეყო 24 750 ლარი, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტსა და საფრანგეთის რენე-1-ის უნივერსიტეტს შორის ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე(რძის მრეწველობაში რძის გადამუშავებისა და მენეჯმენტის)ჩარიცხული 11 სტუდენტის სწავლის საფასურს, აღნიშნული თანხის გადარიცხვა ვერ მოხერხდა პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, რადგან თანხები გადარიცხულ იქნა საკუთარი სახსრებიდან 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრში, ხოლო პროგრამული დაფინანსება სრულად მიღებულ იქნა წლის ბოლოს.

1.9 აიპ საქართველოში ფრანგული ენის სწავლებისა და ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ხელშეწყობისა და განვითრების ფონდ „მოლიერსა“ და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2021 წლის 01 ივნისს ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში, უნივერსიტეტს ჩაერიცხა 50 000 ლარი, საბაკალავრო პროგრამის „კვების ტექნოლოგიები“ მხარდაჭერისათვის, რომლის ათვისება მოხდება 2022 წელს რძის გადამამუშაველი ხაზის ლაბორატორიული დანადგარების შესაძენად.

2. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში შემოსულობების და გადასახდელების გეგმიური მაჩვენებელი შეადგენს 6 180 558 ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 147 498 ლარი, კერძოდ:

2.1 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში(პროგრამული კოდი 32 05 04 03) დაფინანსების გეგმიური მაჩვენებელი შეადგენს 5 150 358 ლარს, შესრულებამ შეადგინა 5 117 298 ლარი, რაც გეგმის შესრულების 99,4%-ია.

2.2 სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს პროგრამის(პროგრამული კოდი 32 04 02 03)დაფინანსების გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებელი შეადგენს 1 030 200 ლარს, რაც გეგმის შესრულების 100%-ია.

3. საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტებიდან(ERASMUS+; პროექტი PRINTeL; ბრიტანეთის საბჭოს საგრანტო პროგრამა-„შემოქმედებითი ნაპერწკალი“; გაეროსა და ნატოს მიერ დაფინანსებული გრანტები) მისაღები შემოსავლები და გადასახდელები დაფინანსებულია

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან და მიზნად ისახავს სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვას, სტუდენტების მობილობას ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ხელშეწყობას.

2021 წელს მიზნობრივი გრანტებიდან მისაღები შემოსულობები და გადასახდელები საკასო ნაშთის ჩათვლით განისაზღვრა 1 250 681 ლარით, რომელიც გადასახდელებში გაიწერა დაფინანსების გამცემი დონორი ორგანიზაციიდან წარმოდგენილი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. გრანტები წლის განმავლობაში დაზუსტებულ იქნა საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული ტრანშების მიხედვით. შემოსავლების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 785 803, ანუ გეგმის 62,8%, ხოლო გადასახდელებმა - 661 674 ლარი, ანუ გეგმის 52,9%, რაც აიხსნება მსოფლიოში განვითარებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო ზოგიერთი ღონისძიების გადავადებით, ან შეჩერებით.

2021 წლის საკუთარი სახსრებიდან გაწეული გადასახდელების გეგმა შესაბამისად განისაზღვრა 55 771 731 ლარით, მათ შორის ხარჯები - 48 669 156 ლარით. ფაქტიურად გაწეული გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შეადგენს 50 914 635 ლარს, კერძოდ:

დასახელება	**საკასო შესრულება**	ხვედრითი წილი
სულ ასიგნება	**50 914 635**	
ხარჯები	**46 941 059**	
შრომის ანაზღაურება	**26 325 450**	51,71
საქონელი და მომსახურება	**17 485 447**	34,34
გრანტები	**9 723**	0,02
სოციალური უზრუნველყოფა	**216 650**	0,43
სხვა ხარჯები	**2 903 789**	5,70
არაფინანსური აქტივების ზრდა	**3 973 576**	7,80



საკუთარი სახსრებით გაწეულ გადასახდელებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის „შრომის ანაზღაურებაზე“ (51,71%), და შეადგენს 26 325 450 ლარს. მიუხედავად პანდემიით გამოწვეული რთული მდგომარეობისა, უნივერსიტეტში შეუფერხებლად გაიცა თანამშრომელთა ხელფასები, ასევე დიდი ხვედრითი წილი მოდის „საქონელი და მომსახურების“ მუხლზე (31 96%) და შეადგენს 17 485 447 ლარს, საიდანაც „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების“ სახით გაიცა 13 295 110 ლარი. აღნიშნული მუხლით გაიწევა კომუნალური გადასახდების გადახდა. რაშიც შეინიშნება დადებითი ტენდენცია შემცირების კუთხით, რაშიც ნაწილობრივ პანდემიის გამო სწავლების ონლაინ რეჟიმში განხორციელებამ შეუწყო ხელი და ასევე მოხდა ენერგო მატარებლებისა და წყლის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც თავისთავად აისახა კომუნალურ გადასახადებზე და წლის განმავლობაში შეადგინა 1 554 611 ლარი, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე 222 061 ლარით ნაკლებია, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელზე- 676 116 ლარით ნაკლები.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გამოიყო თანხები უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვადასხვა კორპუსების რეაბილიტაციისათვის, რომლის შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ წლის განმავლობაში შეადგინა 1 364 228 ლარი, რომელიც გრძელდება და დასრულდება 2022 წლის ოქტომრამდე.

„სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული შესრულების მაჩვენებელი, რომელსაც ასევე დიდი ხვედრითი წილი უკავია გადასახდელებში, მოიცავს საგადასახადო ვალდებულებებს, ავსტრიის ბანკის მარჟას, ემერეტუსის ანაზღაურებას, საგრანტო დაფინანსების თანხებს და შეადგენს 2 903 789 ლარს. აქედან ემერიტუსებისთვის განსაზღვრულმა თანხებმა 1 270 909 ლარი შეადგინა, ხოლო საგადასახადო ვალდებულებების კუთხით განხორციელდა ქმედითი ღონისძიებები ქონების გადასახადთან დაკავშირებული შეღავათების ამოქმედებაზე, რაც მიღწეულ იქნა და საანგარიშო პერიოდში
მოხდა წინა წლებში ზედმეტად გადახდილი(სასწავლო მიზნით გამოყენებული ქონების)თანხების ჩათვალა, რის გამოც საანგარიშო წელს ქონების გადასახდი არ გადახდილა, ხოლო წინა წლის მაჩვენებელი 1 167 065 ლარია.

უნივერსიტეტი არის სახელმწიფო გადასახადების მსხვილი გადამხდელი. საანგარიშო წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილ იქნა 9 385 316 ლარი, აქედან საშემოსავლო გადასახადის სახით გადახდილია 9 066 235 ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადის სახით -318 766 ლარი. ამასთან, დაგროვებითი საპენსიო შენატანის სახით საანგარიშო წელს გადახდილია 341 908 ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაწეულ იქნა თანამშრომელთა სოციალური დახმარებისა და 2021 წელს განხორციელებული რესტრუქტურიზაციის შედეგად განთავისუფლებულ თანამშრომელთა კომპენსაციისათვის და შეადგინა 216 650 ლარი.

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებული თანხები მოიცავს დიდი ჯიხაიშის კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ცენტრ „ანალიზხელსაწყო“-ს გაზიფიცირებას, ადმინისტრაციული შენობის ქსელის გაფართოებას, კომპიუტერული, ოპტიკური და სხვადასხვა სახის ლაბორატორიული მანქანა-დანადგრების შეძენას, აკრედიტაციისათვის გათვალისწინებულ თანხებს და სულ შეადგენს 3 973 576 ლარს. აქედან შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის თანხები შეადგენს 2 723 961 ლარს, ხოლო კომპიუტერული და სხვადასხვა დანიშნულების ქტივების შეძენის ღირებულება შეადგენს 581 308 ლარს. ასევე, ამავე მუხლით განხორციელდა აკრედიტაციისათვის განკუთვნილი თანხების ჩარიცხვა, რამაც წლის განმავლობაში 667 326 ლარი შეადგინა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სხვადასხვა საფეხურის პროგრამების ანგარიშის მონიტორინგს, რეაკრედიტაციასა და ახალი პროგრამების აკრედიტაციას, რის საფუძველზეც უნივერსიტეტმა მოიპოვა უფლება განახორციელოს წარდგენილი პროგრამები.

სულ, 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების გეგმიური მაჩვენებელი შეადგენს 63 202 970 ლარს, ხოლო საკუთარი სახსრების ნაწილში-55 771 731 ლარს.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებამ შეადგინა 61 830 032 ლარი და საკუთარი სახსრების ნაწილში-**54 896 731 ლარი,** ხოლო 2021 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთის(1 169 537 ლარი)გათვალისწინებით **56 066 268 ლარი.**

ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებამ შეადგინა **57 723 807 ლარი** და საკუთარი სახსრების ნაწილში - **50 914 635 ლარს,** რაც გეგმის შესრულების **91,3%-ია.**

სახელმწიფო შესყიდვების მიმართულება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 2021 წლის დაფინანსების ფარგლებში სულ გაფორმდა **333** ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა **79 611 184,33** ლარი.

- **ელექტრონული ტენდერის** საშუალებით გაფორმდა **84** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, საერთო თანხით **7 118 011,64** ლარი

მათ შორის:

- საკუთარი შემოსავლებით დაფინანსების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების (მრავალწლიანი შესყიდვის ჩათვლით) ჯამი შეადგენს **6 415 527,15** ლარს
- სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამი შეადგენს 622 894,49 ლარს
- გრანტი/კრედიტით დაფინანსების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამი შეადგენს **79 590** ლარს

ელექტრონული ტენდერების ჩატარების შედეგად მიღებული ეკონომიის ჯამმა შეადგინა **205 914,36** ლარი

მათ შორის:

- საკუთარი შემოსავლებით დაფინანსების ფარგლებში გამოცხადებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიების ჯამი შეადგენს **136 170,72** ლარს
- სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში ფარგლებში გამოცხადებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიების ჯამი შეადგენს 64 493,64 ლარს
- გრანტი/კრედიტით დაფინანსების ფარგლებში ფარგლებში გამოცხადებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიების ჯამი შეადგენს **5 250** ლარს

გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების შედეგად, გაფორმდა **228** ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საერთო თანხით **608 660,26** ლარი

მათ შორის:

- საკუთარი შემოსავლებით დაფინანსების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამი შეადგენს 421 201,06 ლარს.
- სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამი შეადგენს 150 738,84 ლარს.
- გრანტი/კრედიტით დაფინანსების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამი შეადგენს 36 720,36 ლარს.

კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმდა **21** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, საერთო თანხით **196 973,95** ლარი

მათ შორის:

- საკუთარი შემოსავლებით დაფინანსების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამი შეადგენს **187 368,79** ლარს
- სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამი შეადგენს **9 605,16** ლარს

სამეცნიერო მიმართულებით დაფინანსება

- 2021 წელს კიბერნეტიკის ინსტიტუტის დაფინანსება შეადგენდა 1 169 344 ლარს,
- 2021წელს ინსტიტუტი კონკურსის წესით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული იყო 138500 ლარით სამეცნიერო აპარატურის შეძენის მიზნით.
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის 2021წლის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის ათვისების შესახებ 1. ხელფასი-153960 ლარი; 2. საქონელი და მომსახურება-7480 ლარი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექინფორმსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას (FAO)-ს შორის გაფორმდა სამეცნიერო გრანტი - „სურსათის და სოფლის მეურნეობის სფეროებში სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ ინფორმირებულობის და სამეცნიერო კვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე საქართველოში AGRIS-ის და

AGROVOC-ის მეშვეობით" ("Enhancing awareness about scientific publishing in food and agriculture and providing capacities to access to agricultural research through AGRIS and AGROVOC in Georgia").

- რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მოგებულ იქნა ორი გრანტი - „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვა-კონტროლის სისტემის სრულყოფა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ახალი პარადიგმა" (SP -2-21-619) და „შეცხობის ფიზიკა და კინეტიკა" (SP-2-21-565).
- გრანტების მომსახურების ოფისის წარმომადგენლის ჩართულობით განხორციელდა GITA-ს პროტოტიპირების საგრანტო კონკურსზე განაცხადის მომზადება და შეტანა (გრიგოლ კვარაცხელია - ინტრავასკულური თრომბენდარტერექტომიის ხელსაწყო). აღნიშნული აქტივობა წარმოადგენდა პირველ ე.წ. Spin-Out(სამეცნიერო იდეის/გამოგონების კომერციალიზაცია)-ს ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიაში.
- სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის წარმომადგენლებთან და კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ერთად (ზურაბ გვიშიანი, გელა ყიფიანი) მზადდება Horizon Europe-ს პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული გრანტის განცხადი.

2021 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გაფორმდა 1160 მომსახურეობის ხელშეკრულება 629 509.00 ლარის ოდენობის.

აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტმა შეადგინა ახალი დებულება ანტიპლაგიატზე, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა აკადემიურ საბჭოს. მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის მიერ პლაგიატის არსებობის გამოვლენის მიზნით, დანერგილია კომპიუტერული პროგრამა " Strikeplagiarism.com"-ის (შემდგომში-პროგრამა) ადმინის-ტრირება, რომელიც ამოწმებს უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ მომზადებულ სამეცნიერო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს, ასევე სამეცნიერო სტატიებს, სახელმძღვანელოებს და მონოგრაფიებს. დეპარტამენტის ანტიპლაგიატის სამსახურის მიერ 2021 წელს შემოწმებულ იქნა 487 ნაშრომი.

ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. დიდი ჯიხაიშის კოლეჯისათვის საჭირო ავეჯის ტექნიკური დავალებისა და ბაზრის კვლევის შედეგები წარვუდგინეთ სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.

2.დიდი ჯიხაიშის სააქტო დარბაზის ტექნიკური ექსპერტიზა.

3.სახანძრო ცეცხლმაქრების დატუმბვა-აღდგენა.

4.100 წლის იუბილეესთან დაკავშირებით როიალის აწყობა შეკეთება.

5.,ანალიზხელსაწყო''-ს სახურავის შეკეთება.

6.მებაღეებისათვის შევისყიდეთ ბენზო სათიბელას, და ბენზო ხერხი.

7.სხვადასხვა კორპუსებისათვის შევისყიდეთ წყლის მრიცხველები.

8.მოვაწესრიგეთ ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ტერიტორია და ეზო მოვამზადეთ მშენებლობისათვის.

9.ჰიდროტექნიკისა და ჰიდრავლიკის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის საპროექტო სამუშაოები შევასრულეთ.

10.ინსტიტუტ ტექინფორმის შენობაში ლიფტი შევაკეთეთ.

11.კონდენციონერები შევისყიდეთ 17 ცალი, ღირებულებით **32 160 ლარი.**

12.აღმოიფხვრა პირველ კორპუსში დ=100მმ წყლსადენის მილისა და ვენტილის დაზიანება.

13.განხორციელდა - ნათურების, ელ. სადენებისა და ელექტრო გამანაწილებელ-გამთიშველი მოწყობილობების შესყიდვა. ღირებულებით **28 382,75 ლარი.**

14.განხორციელდა - სატრანსპორტო ფაკულტეტის პროფესიული მოდური პროგრამებისათვის საჭირო მასალებისა და ინვენტარის შესყიდვა.

15.სტუ-ს სააქტო დარბაზში 15 - 30 ივლისამდე მიმდინარეობდა შეხვედრა გასაუბრება პროფესორ მასწავლებლებთან, სტუ-ში გამოცხადებული პროფესორების კონკურსთან დაკავშირებით, რისთვისად სააქტო დარბაზის გაგრილების მიზნით მოვახდინეთ მძლავრი კონდენციონერების ქირაობა.

16.სატრანფორმატორო ჯიხურში A1003, შემომავალი კაბელის დ=185*3. აღდგენითი სამუშაოს ჩატარება.

17.VIII - სასწავლო კორპუსის სახურავზე მზის პანელების დამონტაჟებასთან დაკავშირებით კოპრპუსის ჩაურატარდა კონსტრუქციის (კორპუსის სახურავის) მდგრადობის ექსპერტიზა.

18.სტუ-ს II-IX კორპუსების შიდა ტერიტორიის ნაგვისგან და ნარჩენებისგან გასუფთავება.

19.აკადემიური პერსონალის კონკურსთან დაკავშირებით 11 კომისიისათვის მოვახდინეთ ელ. ჩაიდნების შესყიდვა, ღირებულებით 319 ლარი.

20.განხორციელდა აკადემიური პერსონალის 11 საკონკურსო კომიის წევრების კვებით მომსახურეობა.

21.ა4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა - 1500 შეკვრა.

22.ხელის სადეზინფექციო სითხის შესყიდვა - 2000 ლიტრი.

23.სამედიცინო პირბადის შესყიდვა - 10 000 ცალი.

24.პანდემიის გამო საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების დროს რიგი თანამშრომლების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

25.III-IV კორპუსის წყალმომარაგების ცენტრალურ ქსელზე d=100მმ. დაზიანების შეკეთება.

26.ბიბლიოთეკის ვენტილაციის ქსელის შეკეთება, რომელიც ათწლეულებია გამოსული იყო მდგომარეობიდან.

27.განხორციელდა VI- კორპუსის სარდაფისა და შახტების დასუფთავება.

28. ტიფანის მინით ცენტრალურ ვიტრაჟზე საავტორო მხატვრული ნამუშევრის შექმნა.

29.ადმინისტრაციული კორპუსის პარკინგისათვის კბილანა ბარიერის შესყიდვა.

30.საკანცელარიო საქონელის შესყიდვა, ღირებულებით **19 980 ლარი.**

31.სანიტარული საშუალებების შესყიდვა, ღირებულებით **29 960 ლარი.**

32.სამლოცველოს მოხატვა.

33.IV - VI და ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის კეთისმოწყობის პროექტირება.

34.რომაული და ვერტიკალური ტიპის ფარდაჟალუზების შესყიდვა, ღირებულებით **18 200 ლარი.**

35.გათბობის მასალების შესყიდვა, ღირებულებით **20 270 ლარი.**

36.ავეჯის შესყიდვა ღირებულებით **4 800 ლარი.**

37.გრანტების მომსახურების ოფისისავის ხალიჩის შესყიდვა ღირებულებით **396 ლარი.**

38.VI -კოსრპუსის ფანჯრებიდან განხორციელადა გისოსების დემონტაჟი.

39.ბიბლიოთეკაში ცენტრალურ კარებზე ხის ვიტრაჟის გაკეთება.

40.III-IV და ადმინისტრაციული კოსრპუსების ფანჯრებიდან განხორციელადა გისოსების დემონტაჟი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში 2021 წელს შესრულებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები:

1.დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს VIII, VI, I, IV სასწავლო კორპუსებში სარემონტო სამუშაოები. ასევე დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული კორპუსის

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. შემსრულებელი შ.პ.ს. ,,გრუსია“. 2021 წელს ამ მიმართულებით შესრულებულია **1 164 227 ლარის სამუშაოები.**

2. მიმდინარეობს აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პროფესიული კოლეჯის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, ჯამში 3 281 240 ლარის. სამუშაოები უნდა დასრულდეს 2022 წელს. შემსრულებელი ,,სამშენებლო კომპანია N1“.

შრომის უსაფრთხოების განყოფილება

2021 წელს განყოფილების მიერ შემოწმებული იქნა :

- ✓ პირველი კორპუსი.
- ✓ მეორე კორპუსი
- ✓ მესამე კორპუსი, შახტა ლაბორატორია.
- ✓ მეექვსე კორპუსი.
- ✓ თბოტექნიკის სასწავლო სამეცნიერო საინჟინრო ცენტრი
- ✓ მეათე კორპუსი.
- ✓ ადმინისტრაციული კორპუსი.
- ✓ აღნიშნულთან დაკავშირებით შედგენილია მოხსენ

სასწავლო პროცესების მართვის მიმართულებით საქმიანობა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი (შემდგომში დეპარტამენტი) საქმიანობს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 09 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესებით, აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) დადგენილებებით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებებით, დეპარტამენტის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
2. როგორც ყველგან, საანგარიშო 2021 წელი მთლიანად მიმდინარეობდა პანდემიის პირობებში, რამაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა მთლიანად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და, განსაკუთრებით, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი, რამდენადაც პანდემიით გამოწვეული პრობლემები ყველაზე

მეტ საფრთხეებს უქმნიდა სასწავლო პროცესს, ანუ იმას, რაც წარმოადგენს დეპარტამენტის საქმიანობის უმთავრეს სფეროს.

3. 2021 წლის აგვისტომდე უნივერსიტეტში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელდებდა ოთხი სტრუქტურული ერთეული:
   - სწავლების დეპარტამენტი;
   - დოქტორანტურის დეპარტამენტი;
   - სასწავლო პროცესის მითოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
   - დიპლომების დეპარტამენტი.
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურისა ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტების მოწონების თაობაზე“ 2021 წლის 24 ივნისის №01-05-04/72 დადგენილებით სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის დებულებაში გათვალისწინებული იქნა სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა.
5. უნივერსიტეტის რექტორატის, აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მხარდაჭერით, ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულებთან და ფაკულტეტების დეკანატებთან ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობით დეპარტამენტმა თავი გაართვა ზემოთ დასახელებულ ურთულეს გამოწვევებს და საანგარიშო წელი არსებითი შეფერხებების გარეშე დასრულდა.
6. საანგარიშო 2021 წელს, მიმდინარე ტრადიციული პროცესების გარდა, უნივერსიტეტში ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებიც სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის მხრიდან ასევე მოითხოვდა სათანადო ძალისხმევას:
   - უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაცია;
   - აკადემიური და დამხმარე პერსონალის კონკურსები;
   - უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესათვის მოსამზადებელი სამუშაოები და სხვ.
7. ჩამოთვლილთან ერთად, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უშუალო თანამონაწილეობით ინტენსიურად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემების (Ealerning, Vici) სრულად ათვისების პროცესი. მაგალითად, 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისისათვის მიღწეულ იქნა უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის მონაცემების ასახვა და ყველა აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა შეფასების უწყისების ფორმირება ელექტრონული სერვისების სისტემაში Vici.
8. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ათეულობით საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა მოდიფიცირება და საჭირო გახდა მათი სასწავლო პროცესში დანერგვა.
9. როგორც აღინიშნა, საანგარიშო პერიოდის უდიდესი გამოწვევა იყო ახალი კორონავირუსით **(COVID-19)** გამოწვეული პანდემია. პანდემიამ უნივერსიტეტი აიძულა გადასულიყო ელექტრონული რესურსებით სწავლებაზე (მეცადინეობებისა და გამოცდების ნაწილი განხორციელებულიყო დისტანციურ რეჟიმში), შეეცვალა სასწავლო განრიგი და სხვა.

10. სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ინიციატივით ან აქტიური მონაწილეობით სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით პერმანენტულად ხორციელდებოდა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების განხილვა და წინადადებების დამუშავება, რაც მთავრდებოდა სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებული დადგენილებების/ბრძანებების პროექტების მომზადებით. ასეთი პროექტები უმრავლეს შემთხვევაში შესაბამის ორგანოში განხილვის შემდეგ დოკუმენტის სტატუსს ღებულობდნენ (იხ დანართი). აღნიშნული დოკუმენტები, კერძოდ, ეხებოდა:
    - სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას;
    - სასწავლო პროცესის ჰიბრიდულ რეჟიმში განხორციელებას;
    - სასწავლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფას და ორგანიზებას;
    - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შემუშავება-გადამუშავებას;
    - მისაღები კონტინგენტის დაგეგმვას;
    - მობილობის (შიდა, გარე) დაგეგმვას და განხორციელებას;
    - ყველა სახის გამოცდების ჩატარებას;
    - ნაშრომების დაცვას;
    - კვალიფიკაციის მინიჭებას;
    - სწავლის საფასურის ოდენობას;
    - სწავლის საფასურის სახელმწიფო დაფინანსებას;
    - სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევას;
    - აკადემიური პერსონალის აკადემიურ დატვირთვის ახალ, მოქნილ სქემას, მათი ანაზღაურების გაუმჯობესებას, პროფესიულ განვითარებას;
    - აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის სტატუსს;
    - პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსს;
    - აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარებას;
    - სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის უზრუნველსაყოფად პროფესორებად, ასოცირებულ პროფესორებად და პედაგოგებად მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევას;
    - აბიტურიენტებისათვის STEM საგნებში უფასო მოსამზადებელი ონლაინ კურსების გახსნას და სხვ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებს 27 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. უნივერსიტეტს აქვს ორი ფილიალი (ტყიბული და დიდი ჯიხაიში), სადაც ხორციელდება მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

- სსსმ და შშმ სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.
- სამეცნიერო და საწარმოო ცენტრი „ანალიზხელსაწყო“, სადაც დაგეგმილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადატანა და სასწავლო პროცესის განხორციელება, როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული მეცადინეობების.

- ოთხი პროგრამის პრაქტიკული მეცადინეობების გარკვეული ნაწილი უკვე მიმდინარეობს აღნიშნულ ცენტრში.
- მომზადდა სამი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: "შედუღება", "დაბალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი", „კომპიუტერული სისტემების და ქსელების ტექნიკოსი“. მისი განხორციელება დაგეგმილია 2022 წელს.

ადამიანური რესურსების მართვა, უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და რებრენდინგი:

2021 წლის განმავლობაში ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის მიერ მომზადებული და დამუშავებული იქნა 1115 პირადი შემადგენლობის ბრძანება და 113 მივლინების თაობაზე. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021 წელს მიღებული იქნა 2857 პიროვნება, ხოლო გათავისუფლდა 655 თანამშრომელი. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021 წლის რეორგანიზაციის შედეგად ადმინისტრაციაში სტრუქტურული ერთეულის რაოდენობა შემცირდა 28 ერთეულამდე.

დაიგეგმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. შემუშავდა უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია 2022-2028წ. ასევე, უნივერსიტეტის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა. შეიქმნა საკომუნიკაციო პლათფორმა და სოციალური მართვის დოკუმენტი. შემუშავდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდის კონცეფცია და დიზაინი. განხორციელდა ვიდეოპროექტი ქართველ მეცნიერთა შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. შეიქმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი, საიმიჯო ფოტო.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ISO:9001 სერტიფიცირების პროცესში სტრატეგიული განვითარებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის მართვის განვითარების ჯგუფთან, ISO:9001 სტანდარტების დანერგვისათვის სახელმძღვანელოს შემუშავების მიზნით. ასევე, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულებს, ISO:9001 სტანდარტების დანერგვის პროცესში.

სტუდენტური (მომხმარებელთა) აზრის კვლევა - აღნიშნული კვლევის საფუძველზე, შესაბამის განყოფილებებთან ერთად, დაიწყო სასწავლო ცხრილებისა და პროგრამების ფორმატის ცვლილებისათვის საჭირო კონცეფციის შემუშავება.

სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართულება:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო დროის დიდი ნაწილი ეთმობა კონსულტაციებსა და უნივერსიტეტში სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით შექმნილ კომისიებსა და გამართულ შეხვედრებში მონაწილეობას. ამასთან, დეპარტამენტის თანამშრომლები ამუშავებენ დეპარტამენტში შემოსულ მასალებს, რომლებიც მოითხოვს სამართლებრივ ანალიზს (კორესპონდენციებზე პასუხების, და

სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებულ დავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტების, სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა/მომზადება, ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა/რეგისტრაცია და სხვ). აღნიშნული სამუშაოები მოცულობითი და საპასუხისმგებლოა.

2021 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა 180-ზე მეტ უნივერსიტეტის მართვის ორგანოების და მმართველი სუბიექტების სამართლებრივი აქტის პროექტს, მათ შორის მომზადდა უნივერსიტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტის პროექტები, **უნივერსიტეტის 12 ფაკულტეტის დებულება, 18 სტრუქტურული ერთეულის დებულება და ცვლილებები სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში.**

2021 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა პროფესორ/მასწავლებელთა და სტუდენტთა **545 განცხადება** და მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნები, მომზადდა და გაიგზავნა პასუხები სხვადასხვა უწყებებში გასაგზავნ 81 კორესპონდენციაზე.

2021 წლის იანვრის თვეში დეპარტამენტის ინიციატივის (29.01.2021 წ. (43671) სამსახურებრივი ბარათი) საფუძველზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადმოცემული ქონების დაბეგვრასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელების თაობაზე ჩატარებული კონსულტაციების შედეგად, უნივერსიტეტმა მიიღო დაახლოებით **500000 (ხუთასი ათასი) ლარის** ეკონომია და ასევე, ამ მიზნით, მოსალოდნელი დასაბრუნებელი თანხის ოდენობა შეადგენს დაახლოებით **1000000 (ერთ მილიონ) ლარს.**

2021 წელში უნივერსიტეტი მონაწილეობდა ცამეტ სასამართლო დავაში, საიდანაც ცხრა განხილული იყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, სამი კი ადმინისტრაციული.

სამოქალაქო დავები:

მიმდინარე სამოქალაქო დავები:

1. მოსარჩელე - ნათელა ასათიანი, მოპასუხე - სტუ.
2. მოსარჩელე - სტუ, მოპასუხე - შპს ვილა ძარა.
3. მოსარჩელე - სტუ, მოპასუხე - შპს ვილა ძარა ჯგუფი.

დასრულებული სამოქალაქო დავები:

1. მოსარჩელე - შპს Sky group, მოპასუხე - სტუ. მოსარჩელის მოთხოვნა **არ დაკმაყოფილდა.**
2. მოსარჩელე - იზა შაქარაშვილი, მოპასუხე - სტუ. მოსარჩელის მოთხოვნა **დაკმაყოფილდა.**
3. მოსარჩელე - გოჩა თოდუა, მოპასუხე - სტუ. მოსარჩელის მოთხოვნა **არ დაკმაყოფილდა.**
4. მოსარჩელე - სტუ, მოპასუხე - შპს სკოლა ივერია. მოსარჩელის მოთხოვნა **ძირითად ნაწილში დაკმაყოფილდა**.

5. მოსარჩელე - სტუ, მოპასუხე - შპს ჯორჯიან ინჟინერინგი. **პირგასამტეხლო არ დაკმაყოფილდა.**
6. მოსარჩელე - სტუ, მოპასუხე - ზურაბ გაგუა. მოსარჩელის მოთხოვნა **დაკმაყოფილდა.**

მიმდინარე ადმინისტრაციული დავები:

1. მოსარჩელე - შპს Sky group მესამე პირად სტუ.
2. მოსარჩელე - სალომე გოგიშვილი მესამე პირად სტუ.

დასრულებული ადმინისტრაციული დავები:

1. **მოსარჩელე - ოთარ კალანდაძე. მოპასუხე - სტუ. დაკმაყოფილდა** სტუდენტის სტატუსის აღდგენა.

2021 წელში უნივერსიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავ ქონებებზე არსებობდა შემდეგი იჯარის ხელშეკრულებები:

მიმდინარე:

1. შპს „ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი“ **02.06.2020 - 02.06.2022 წ.**
2. შპს „ტრანსფორმირებადი ნაგებობები. საქართველო ტ.ნ. საქართველო“ **09.09.2020 - 04.09.2025 წ**.
3. შპს ,,ალმა,, **10.08.2018 - 10.08-2028 წ.**
4. ფ.პ. ნათელა ცხირავაშვილი **02.04.2019 - 02.04.2022 წ.**
5. შპს ვილა ძარა ჯგუფი **05.11.2019 - 05.11.2024 წ.**
6. შპს ვილა ძარა ჯგუფი **05.11.2016 - 05.11.2024 წ.**
7. შპს ვილა ძარა ჯგუფი **05.11.2019 - 05.11.2024 წ.**
8. შპს ვილა ძარა ჯგუფი **05.11.2019 - 05.11.2024 წ.**
9. ი.მ. ჯიმი ჩხეიძე **10.05.2017 - 10.05.2022**

შეწყვეტილია ვადის გასვლის გამო:

1. შპს ,,პრომო პლიუსი,, **14.06.2016 - 14.06.2021 წ.**
2. ფ.პ ნარგიზ ტოგონიძე **14.06.2016 - 14.06.2021 წ.**
3. ფ.პ. თორნიკე ოქროპილაშვილი **14.06.2016- 01.06.2021 წ.**
4. შპს ,,ვილა ძარა,, **19.07.2016 - 19.07.2021 წ.**
5. ფ.პ. ჯემალ მაზანაშვილი **23.02.2018 - 23.02.2021 წ.**
6. ფ.პ გოჩა დალაქიშვილი **23.02.2018 - 23.02.2021 წ.**
7. ფ.პ. სტეფანე აბრამიანი **23.02.2018 - 23.02.2021 წ.**

ვადაზე ადრე შეწყვეტილი:

1. სკოლა ივერია **24.04.2015 - 24.04.2023 წ.**

2. ფ.პ. ზურაბ გაგუა **20.03.2018 - 20.03.2028 წ.**

დოკუმენტს დანართის სახით თან ერთვის:

- დანართი #1-სტრატეგიული განვითარებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი 2021 წლის ანგარიში
- დანართი #2-სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიში
- დანართი #3-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტი
- დანართი #4-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის 2021 წლის ფინანსური და სამეცნიერო ანგარიშგება
- დანართი #5-ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი
- დანართი #6-ინსტიტუტ ტექინფორმის საქმიანობის 2021 წლის მოკლე ანგარიში
- დანართი #7-საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ანგარიში
- დანართი #8-საქმიწარმოების დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიში
- დანართი #9-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების განყოფილების 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიში
- დანართი #10-ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიში
- დანართი #11-სტუ-ს სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის 2021 წლის ამგარიში
- დანართი #12-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიშ
- დანართი #13-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის 2021 წლის ანგარიში
- დანართი #14-სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიში
- დანართი #15-სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიში
- დანართი #16-უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის 2021 წლის
- დანართი #17-შესყიდვების დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიში
- დანართი #18-სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარატმენტის 2021 წლის ანგარიში
- დანართი #19- ინფრასტრუქტურის მართვის შრომის უსაფრთხოებისა და ლოგისტიკის დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიში

- დანართი #20-არქიტექტურის ურბანიტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის არქიტექტურული ბიურო